

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“

2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, სართული 5
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი , N4, (ნაკვ.66/4)
თბილისი, საქართველო 0105
ს/კ 404437695
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოს“ მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს;

- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავეთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწვრილ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.



- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
12 ნოემბერი 2025 წელი

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
12 ნოემბერი 2025 წელი



შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	22,574	19,790
არამატერიალური აქტივები		23	36
აქტივები გამოყენების უფლებით		-	149
სასესხო მოთხოვნა	6	53,400	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		75,997	19,975
მოკლევადიანი აქტივები			
სასესხო მოთხოვნა	6	1,478	-
მარაგები	7	8,867	8,755
საგადასახადო აქტივები	8(a)	14,267	2,350
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	18,406	20,531
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	39,035	55,155
სულ მოკლევადიანი აქტივები		82,053	86,791
სულ აქტივები		158,050	106,766
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	10	172,647	172,647
გადაუხდელი განთავსებული კაპიტალი		(14,054)	(14,054)
დაგროვილი ზარალები		(33,268)	(90,380)
სულ კაპიტალი		125,325	68,213
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	32,725	38,553
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		32,725	38,553
სულ ვალდებულებები		32,725	38,553
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		158,050	106,766

შპს „ვიმ-ბილ-დან-საქართველო“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	12	241,183	213,542
გაყიდვების თვითღირებულება	13	(156,233)	(140,405)
საერთო მოგება		84,950	73,137
მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	14	(27,905)	(27,196)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(9,562)	(12,510)
სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯები)		2,254	(9,846)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		49,737	23,585
საპროცენტო შემოსავალი		6,288	2,988
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		1,100	(707)
საპროცენტო ხარჯები		(13)	(37)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		7,375	2,244
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		57,112	25,829
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		57,112	25,829

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 11 ნოემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

ნუნუ ფორჩხიძე
დირექტორი

ოქსანა ჯიქურაული
კონტროლისა და რეპორტირების მენეჯერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 40 გვერდებზე.

შპს „ვიმ-ბილ-დან-საქართველო“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	12	241,183	213,542
გაყიდვების თვითღირებულება	13	(156,233)	(140,405)
საერთო მოგება		84,950	73,137
მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	14	(27,905)	(27,196)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(9,562)	(12,510)
სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯები)		2,254	(9,846)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		49,737	23,585
საპროცენტო შემოსავალი		6,288	2,988
საკუთრო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		1,100	(707)
საპროცენტო ხარჯები		(13)	(37)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		7,375	2,244
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		57,112	25,829
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		57,112	25,829


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 11 ნოემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

ნუნუ ფორჩხიძე
 დირექტორი



ოქსანა ჯიქურაული
 კონტროლისა და რეპორტირების მენეჯერი

11.11.2025



მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 40 გვერდებზე.

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“
2024 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	გადაუხდელი განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	172,647	(14,054)	(116,209)	42,384
მთლიანი სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	25,829	25,829
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	25,829	25,829
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	172,647	(14,054)	(90,380)	68,213
 ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	172,647	(14,054)	(90,380)	68,213
მთლიანი სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	57,112	57,112
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	57,112	57,112
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	172,647	(14,054)	(33,268)	125,325

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 40 გვერდებზე.

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“
2024 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის მოგება		57,112	25,829
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	3,152	3,012
წმინდა გაუფასურების (აღდგენა)/ზარალი			
ფინანსურ აქტივებზე	8	(602)	266
გრძელვადიანი აქტივების გასვლით			
განპირობებული ზარალი		17	44
უმოდრაო მარაგების ჩამოწერა	7	82	175
წმინდა ფინანსური შემოსავალი		(7,375)	(2,244)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან		52,386	27,082
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე			
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგებში		(194)	480
საგადასახადო აქტივებში		(11,917)	682
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		3,997	3,015
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(5,912)	3,572
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		38,360	34,831
მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე			
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა		38,360	34,831
ფულადი სახსრები			
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი			
ნაკადები			
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	6	(53,400)	-
მიღებული პროცენტი		4,810	2,988
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(5,791)	(3,863)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		(54,381)	(875)
ფულადი სახსრები			
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების		(16,021)	33,956
წმინდა (კლება)/ზრდა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1			
იანვარს	9	55,155	21,540
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად			
სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(99)	(341)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31		39,035	55,155
დეკემბერს	9		

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 - 40 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშვალდებული საწარმო	11	13. გაყიდვების თვითღირებულება	18
2. აღრიცხვის საფუძველი	11	14. მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	18
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12	15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	18
5. ძირითადი საშუალებები	13	17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
6. სასესხო მოთხოვნა	13	18. შემდგომი მოვლენები	26
7. მარაგები	14	19. პირობითი ვალდებულებები	26
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	20. შეფასების საფუძველი	27
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	21. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	27
10. კაპიტალი და კაპიტალის მართვა	15	22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	40
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16		
12. შემოსავალი	16		

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. გარდა ამისა, 2025 წლის აპრილში შეერთებული შტატების მიერ გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტზე ტარიფების დაწესებამ ხელი შეუწყო გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობას. აღნიშნული ზომები გავლენას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებსა და ინვესტიციების განწყობაზე. ტარიფებისა და სხვა პროტექციონისტული ზომების შემოღებამ, ნავთობის გლობალური ფასების არასტაბილურობამ და რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც 2008 წლის 17 იანვარს დაარსდა. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 204546553.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის სს „ვიმ-ბილ-დანი“, საბოლოო მშობელი კომპანია არის „პეპსიკო, ინკ.“ „პეპსიკო ინკ.“-ის აქციები საჯაროდ ივაჭრება NASDAQ-ის საფონდო ბირჟაზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია სოფელი ფონიჭალა, სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის რძის პროდუქტების წარმოება და იმპორტირებული რძის პროდუქტების, წასახემსებლების და სასმელების დისტრიბუცია. კომპანიის საწარმოო შენობები განთავსებულია ფონიჭალაში, თბილისი, საქართველო.

წარსულში, კომპანიის დაფინანსების დიდი ნაწილი უკავშირდებოდა „პეპსიკო, ინკ.“-ის თაოსნობის ქვეშ მყოფ ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოებს (აქციონერი ჯგუფი). შედეგად, კომპანია ეკონომიკურად იყო დამოკიდებული აქციონერ ჯგუფზე. კომპანიის საქმიანობა არის მჭიდროდ დაკავშირებული აქციონერი ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის პროდუქციის ფასის განსაზღვრა ხდება აქციონერ ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან ერთად.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-17 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 21(e) - შემოსავლის აღიარება.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

(a) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- *დონე 1:* აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვება ცვლილება.

ყველა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 16 - სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე და სხვა აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	სულ
საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 1 იანვარს	3,329	10,412	3,380	1,624	-	18,745
შესყიდვები	1,169	1,973	200	521	-	3,863
გასვლები	-	(105)	(132)	-	-	(237)
ცვეთის დარიცხვა	(228)	(1,516)	(696)	(334)	-	(2,774)
გასული აქტივების ცვეთის ელიმინირება	-	95	98	-	-	193
2023 წლის 31 დეკემბერს	4,270	10,859	2,850	1,811	-	19,790
თვითღირებულება	5,161	17,704	5,654	5,033	-	33,552
დაგროვილი ცვეთა	(891)	(6,845)	(2,804)	(3,222)	-	(13,762)
საბალანსო ღირებულება	4,270	10,859	2,850	1,811	-	19,790
2023 წლის 31 დეკემბერს	4,270	10,859	2,850	1,811	-	19,790
2024 წლის 1 იანვარს	4,270	10,859	2,850	1,811	-	19,790
შესყიდვები	2,488	1,963	739	219	382	5,791
გასვლები	(1)	(271)	(91)	-	-	(363)
ცვეთის დარიცხვა	(314)	(1,614)	(718)	(344)	-	(2,990)
გასული აქტივების ცვეთის ელიმინირება	1	254	91	-	-	346
2024 წლის 31 დეკემბერს	6,444	11,191	2,871	1,686	382	22,574
თვითღირებულება	7,648	19,396	6,302	5,252	382	38,980
დაგროვილი ცვეთა	(1,204)	(8,205)	(3,431)	(3,566)	-	(16,406)
საბალანსო ღირებულება	6,444	11,191	2,871	1,686	382	22,574
2024 წლის 31 დეკემბერს	6,444	11,191	2,871	1,686	382	22,574

2024 წელს, 2,176 ათასი ლარის ოდენობით ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი (2023: 2,002 ათასი ლარი) იქნა დარიცხული გაყიდვების თვითღირებულებაზე, 364 ათასი ლარი (2023: 401 ათასი ლარი) მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯებზე, ხოლო 612 ათასი ლარი (2023: 609 ათასი ლარი) ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებზე.

2018 წლის 4 იანვრის სსიპ შემოსავლების სამსახურის N 007171 შეტყობინების საფუძველზე, კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების (გარდა მოძრავი ქონებისა) მთლიანი ნაშთები წარმოადგენს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების ობიექტს (იხ. შენიშვნა 19(a)).

6. სასესხო მოთხოვნა

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტიანი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სასესხო მოთხოვნების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის და საკრედიტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-16 შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	53,400	-
	53,400	-
მოკლევადიანი აქტივები		
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	1,478	-
	1,478	-

(a) სესხის დაფარვის ვადები და პირობები

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
				ნომინალური დირებულება	საბალანსო დირებულება	ნომინალური დირებულება	საბალანსო დირებულება
„პეპსიკო გლობალ ჰოლდინგს ლიმიტედ“	ლარი	3 თვიანი TIBR 3M* + 2.75%	2027	54,878	54,878	-	-
				54,878	54,878	-	-

*TIBR 3M - თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი - საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ქართული კომერციული ბანკების მიერ სესხების გაცემისა და აღებისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ დაკავშირებულ მხარეზე გასცა 53,400 ათასი ლარის ოდენობით სესხები.

7. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და სახარჯი მასალა	4,828	4,808
იმპორტირებული პროდუქცია	2,042	2,434
სათადარიგო ნაწილები	1,308	928
თვითწარმოებული პროდუქცია	681	458
სხვა	8	127
სულ მარაგები	8,867	8,755

2024 წელს, გაყიდვების თვითღირებულების სახით აღიარებული მთლიანი მარაგები შეადგენდა 151,766 ათას ლარს (2023: 135,523 ათასი). მარაგების ჩამოწერა და ჩამოწერების აღდგენა შეტანილია გაყიდვების თვითღირებულებაში.

2024 წელს, უმოძრაო მარაგებმა, რომლებიც ჩამოწერილი იქნა ნულის ტოლი ოდენობით ნეტო-რეალიზებად ღირებულებამდე და კომპანიის მარაგების ყველა სხვა დანაკარგმა 82 ათასი ლარი შეადგინა (2023: 175 ათასი ლარი).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	17,868	18,876
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხი	(477)	(1,079)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	17,391	17,797
გადახდილი ავანსები	1,013	2,062
სხვა მოთხოვნები	2	672
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,406	20,531

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, რომლებიც სავაჭრო მოთხოვნებს უკავშირდება, განხილულია მე-16 შენიშვნაში.

(a) საგადასახადო აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, საგადასახადო აქტივები მოიცავს წინასწარ გადახდილ მოგების გადასახადს გაცემულ სესხზე 9,424 ათასი ლარის ოდენობით (2023: ნული).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა მოგების გადასახადით იბეგრება (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შემდგომი). ამასთან, თუ მოხდა გაცემული სესხის თანხის დაბრუნება, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია სესხის თანხის დაბრუნების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

2024 წელს, კომპანიამ გასცა სესხი არარეზიდენტზე (იხილეთ შენიშვნა 6) და, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გადაიხადა მოგების გადასახადი 9,424 ათასი ლარის ოდენობით (2023: ნული). ვინაიდან, აღნიშნული გადასახადი დაბრუნებადია გაცემული სესხის თანხის დაბრუნებისას, თანხა აღიარდა როგორც საგადასახადო აქტივი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები ბანკში	39,001	55,115
ნაღდი ფული	34	40
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	39,035	55,155

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, რომლებიც ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს უკავშირდება, განხილულია მე-16 შენიშვნაში.

10. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(a) განთავსებული კაპიტალი

2022 წელს კომპანიამ განაახლა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტები და განახლებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად „საწესდებო კაპიტალის“ ცნება „განთავსებული კაპიტალით“ ჩაანაცვლა. განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

განთავსებულ კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა 2024 და 2023 წლებში. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, სრულად გადახდილი განთავსებული კაპიტალი შეადგენდა 158,593 ათას ლარს.

(b) გადაუხდელი განთავსებული კაპიტალი

გადაუხდელი განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს 2020 წლის 23 აპრილის ბრძანების მიხედვით მიუღებელ თანხებს, რომლის ამოღებასაც ხელმძღვანელობა არ მოელის პირდაპირი მშობელი კომპანიისგან.

(c) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით, აქციონერი ჯგუფისგან მიღებული სესხები და კრედიტებით და პირდაპირი მშობელი კომპანიის კაპიტალის შენატანებით ფინანსდება.

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

(d) დივიდენდები

განთავსებული კაპიტალის მესაკუთრეებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან კომპანიის კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

2024 და 2023 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა.

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ გაანაწილონ დივიდენდები იმ შემთხვევაში თუ მათი მთლიანი აქტივების ოდენობა ფარავს განთავსებულ კაპიტალს დამატებული მთლიანი ვალდებულებები, როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, განაწილების შედეგად.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	29,490	33,422
დარიცხული დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	3,159	2,854
მიღებული ავანსები	76	2,050
საიჯარო ვალდებულება	-	227
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,725	38,553

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-16 შენიშვნაში.

12. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

კომპანია შემოსავალს იღებს თვითწარმოებული რძის პროდუქტების რეალიზაციიდან და იმპორტირებული რძის პროდუქტების, საჭმლისა და სასმელების რეალიზაციიდან.

კომპანია აღიარებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ამონაგებს დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც ის გადასცემს კონტროლს საქონელზე კლიენტს, იხილეთ შენიშვნა 21(ე).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია, კომპანიის მიერ თითოეული სახეობის საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე:

'000 ლარი	2024	2023
ჩიფსები	57,588	48,834
არაჟანი	34,183	31,097
პასტერიზებული რძე	33,437	32,055
წვენიები	31,537	25,833
იოგურტი	28,209	24,103
მაწონი	24,879	22,619
ხაჭო	8,000	8,205
კეფირი	5,019	4,463
კრეკერები	4,285	4,324
პუდინგი	2,823	2,842
სხვა პროდუქტები	11,223	9,167
სულ შემოსავალი	241,183	213,542

(ბ) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების ჩაშლა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების და შემოსავლის აღიარების ძირითადი პროდუქტების ხაზების მიხედვით:

'000 ლარი	2024	2023
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
ადგილობრივი	231,620	208,171
უცხოური	9,563	5,371
	241,183	213,542

'000 ლარი	2024	2023
ძირითადი პროდუქტის ხაზები		
თვითწარმოებული პროდუქტების გაყიდვები	126,749	111,275
იმპორტირებული პროდუქტების გაყიდვები	114,434	102,267
	241,183	213,542

(ც) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებსა და ვალდებულებებზე.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	17,391	17,797
მიღებული ავანსები	(76)	(2,050)

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან არ წარმოშობილა სახელშეკრულებო აქტივები ან სახელშეკრულებო ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	2024	2023
ნედლეული და გამოყენებული სახარჯი მასალა	144,642	129,685
დასაქმებულთა გასამრჯელოების და სარგებელის ხარჯი	4,422	3,916
ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვები	2,176	2,002
ენერგიისა და კომუნალური ხარჯები	2,171	1,901
შეკეთებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	1,189	1,130
სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები	1,633	1,771
	156,233	140,405

14. მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
სარეკლამო და მარკეტინგის მომსახურება	13,385	15,615
დასაქმებულთა გასამრჯელოების და სარგებელის ხარჯი	11,851	9,464
შენახვის საფასური	630	414
შეკეთებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	495	285
ცვეთის ხარჯი	364	401
სამივლინებო ხარჯები	276	338
კომუნალური ხარჯები	181	165
დაზღვევის ხარჯები	62	62
სხვა ხარჯები	661	452
	27,905	27,196

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოების და სარგებელის ხარჯი	4,125	6,052
პროფესიული მომსახურების საფასური*	2,077	299
წარმომადგენლობითი ხარჯები	620	1,729
ცვეთის დარიცხვა	612	609
სამივლინებო ხარჯები	455	787
საკანცელარიო და სხვა საოფისე მარაგები	242	918
უსაფრთხოების ხარჯები	234	236
საიჯარო ხარჯები	166	35
შეკეთებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	32	402
ბანკის საკომისიო	12	11
სხვა	987	1,432
	9,562	12,510

*ზემოაღნიშნულ პროფესიულ მომსახურებაში შეტანილია აუდიტორული ფირმებისთვის აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის გადახდილი საფასური დაახლოებით 401 ათასი ლარის ოდენობით (2023: 170 ათასი ლარი).

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებები შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აკისრია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

კომპანიის აქციონერები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშება კომპანიის სასესხო მოთხოვნებთან, მომხმარებლების მიმართ მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

გაუფასურების ზარალები ფინანსურ აქტივებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში შემდეგნაირად:

’000 ლარი	2024	2023
წმინდა გაუფასურების (აღდგენა)/ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	(602)	266

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სასესხო მოთხოვნა	54,878	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,393	18,469
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39,001	55,115
საკრედიტო რისკზე მთლიანი მაქსიმალური დაქვემდებარება	111,272	73,584

სასესხო მოთხოვნა

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას აქვს გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე. სესხი არ არის უზრუნველყოფილი. სასესხო მოთხოვნის პირობები მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, კონტრაქტებს გააჩნიათ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დაკმაყოფილების მაღალი უნარი, შესაბამისად დაკავშირებული საკრედიტო რისკი არის დაბალი.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები არ ყოფილა ვადაგადაცილებული.

გაცემული სესხები კლასიფიცირებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის 1-ელ ეტაპზე.

სასესხო მოთხოვნებისთვის დეფოლტის ალბათობა შეფასდა როგორც 0.10%, ექსპერტის მიერ ინდივიდუალური მიდგომით, სარეიტინგო სისტემის ქულებიანი კითხვარის საფუძველზე და წარმოადგენს აქციონერის ჯგუფის შეფასებული კომპანიის რეიტინგს (Moody-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით), კორექტირებული იგივე ჯგუფის მსესხებლების ინდივიდუალური რისკის მახასიათებლებით. კომპანია დეფოლტის ალბათობის გარე ბენჩმარკის სახით „Moody’s“-ის დეფოლტის კვლევას იყენებს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში განისაზღვრა 100%-ით, არაუზრუნველყოფილი სესხის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის შეფასებით „დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში“ განისაზღვრა 100%-ის დონეზე, იმის გათვალისწინებით რომ გაცემული სესხები უნდა იყოს დაფარული დაფარვის ვადის დადგომისას.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი საანგარიშგებო თარიღისთვის. 2024 წლის განმავლობაში, სასესხო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვი არ ყოფილა აღიარებული კომპანიის მიერ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება მისი კლიენტთა ზაზის საკრედიტო რისკზე იქონიონ გავლენა, მათ შორის, იმ ინდუსტრიასთან ან ქვეყანასთან დაკავშირებული დეფოლტის რისკი, რომელშიც ოპერირებენ კლიენტები. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 19% (2023 წელს: 18%) უკავშირდება სავაჭრო ოპერაციებს ერთ ადგილობრივ კლიენტთან. კომპანია აფასებს, რომ საკრედიტო რისკი, შემოსავლისა და მოთხოვნების მაღალი კონცენტრაციის შედეგად არ გაზრდილა. კომპანია კლიენტთან გარიგებებს აწარმოებდა მისი დაარსების თარიღიდან და საკრედიტო ზარალებს არ ჰქონიათ ადგილი. შემოსავლების კონცენტრაციაზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის გზით ან კრედიტის გაცემამდე მათი კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, ასევე მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის საშუალებით და ვალის დაუყოვნებელი გადახდის მოთხოვნით, როდესაც ნაშთი თითოეული ინდივიდუალური კონტრაქტისთვის დაწესებულ, გარკვეულ ზღვარს უახლოვდება. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება. უცხოელ კლიენტებთან, კომპანია ძირითადად დებს გარიგებებს წინასწარი გადახდის პირობით. კომპანიის შემოსავლის ძირითადი ნაწილი უკავშირდება სავაჭრო ოპერაციებს ადგილობრივ კლიენტებთან.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ იურიდიული, მათი ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები.

კომპანია განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას. აღნიშნული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჯგუფური ზარალის კომპონენტი. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად ადგილობრივ საბითუმო კლიენტებს უკავშირდება, რომლებსაც კომპანიასთან მუშაობის გამოცდილება და კარგი საკრედიტო ისტორია აქვთ.

კომპანიას არ აქვს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებისთვისაც არ არის ზარალის რეზერვი აღიარებული გირაოს არსებობის გამო.

სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობა საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024
	არ არის		
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	გაუფასურებული საკრედიტო რისკით	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
დაბალი რისკი	17,650	-	17,650
მაღალი რისკი	-	218	218
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	17,650	218	17,868
ზარალის რეზერვი	(259)	(218)	(477)
სულ:	17,391	-	17,391

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
	არ არის		
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	გაუფასურებული საკრედიტო რისკით	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
დაბალი რისკი	18,046	-	18,046
მაღალი რისკი	-	830	830
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	18,046	830	18,876
ზარალის რეზერვი	(249)	(830)	(1,079)
სულ:	17,797	-	17,797

დაბალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს ძლიერი უნარი მოკლევადიან პერიოდში დააკმაყოფილოს მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფით ცვლილებებს გრძელვადიან პერიოდში სავარაუდოდ არ ექნება უარყოფითი გავლენა მსესხებლის უნარზე დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

მაღალი რისკი - ხელშეკრულების მხარეს აქვს სუსტი უნარი შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკასა და ბიზნეს გარემოში გრძელვადიან პერსპექტივაში, დიდი ალბათობით იქონიებს უარყოფით გავლენას ხელშეკრულების მხარეების გადახდისუნარიანობაზე.

წლის განმავლობაში, გაუფასურების რეზერვში მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვრისთვის	1,079	813
გაუფასურების აღდგენა წლის განმავლობაში	(687)	-
წლის განმავლობაში აღიარებული გაუფასურების ზარალი	85	266
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბრისთვის	477	1,079

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული კლიენტებისთვის

კომპანია ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გარე შეფასებები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და ხელმისაწვდომი პრეს ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ (და არა მხოლოდ)) და მომხმარებლის ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიაწვდიან დეფოლტის რისკზე და შესაბამისობაშია სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგების განმარტებებთან.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 39,001 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრები ბანკში (2023 წლის 31 დეკემბერი: 55,115 ათასი ლარი), რაც წარმოადგენს მის მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას აღნიშნულ აქტივებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფლობილია ქართულ ბანკებში გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგებით „BB“, „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოების მიხედვით.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიას არ უღიარებია გაუფასურების რეზერვი ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს ფულადი ნაკადების მოთხოვნების მონიტორინგის და ძირითადად სესხებისგან შემდგარი, სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნების გზით. კომპანიის მიზანს წარმოადგენს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება მომავალი 60 დღის განმავლობაში ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებაზე მეტი ოდენობით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (იხილეთ ასევე შენიშვნა 9). ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრაგ პროგნოზებს.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	ნაკლები 1 წელზე	1-2 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(29,490)	(29,490)	(29,490)	-
	(29,490)	(29,490)	(29,490)	-

31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	ნაკლები 1 წელზე	1-2 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(33,422)	(33,325)	(33,325)	-
საიჯარო ვალდებულება	(227)	(240)	(240)	-
	(33,649)	(33,565)	(33,565)	-

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ჰქონდეს მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად ადრე ან არსებითად განსხვავებული ოდენობით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

კომპანია გასწევს ფინანსურ ვალდებულებებს, საბაზრო რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, სავაჭრო მოთხოვნებთან, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან და სავაჭრო ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში არის დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია აღნიშნული ოპერაციები არის აშშ დოლარი, ევრო და რუბლი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	აშშ დოლარში	რუბლში	ევროში	აშშ დოლარში	რუბლში	ევროში
	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
’000 ლარი						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	65	-	4	736	-	12
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	336	-	-	190	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(9,154)	(2,138)	(4,652)	(7,052)	(1,655)	(8,118)
წმინდა დაქვებდებარება	(8,753)	(2,138)	(4,648)	(6,126)	(1,655)	(8,106)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
100 რუბლი	2.9401	3.1151	2.5405	2.9916
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

’000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	875	(875)
რუბლი (10%-იანი მოძრაობა)	214	(214)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	465	(465)
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	613	(613)
რუბლი (10%-იანი მოძრაობა)	166	(166)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	811	(811)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს სასესხო მოთხოვნებზე მათი ნომინალური ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტი) ან მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხების გაცემის დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მსჯელობით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალეადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
სასესხო მოთხოვნა	54,878	-
	54,878	-

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტის გონივრულ შესაძლო ცვლილებას საპროცენტო განაკვეთში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 549 ათასი ლარის ოდენობით გავლენა ექნებოდა მოგებასა ან ზარალზე (2023: ნული). ეს ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის სს „ვიმ-ბილ-დანი“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის „პეპსიკო, ინკ.“.

„პეპსიკო, ინკ.“-ის წლიური ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი მის ვებგვერდზე: www.pepsico.com

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	2,635	3,128

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ.

(i) შემოსავალი

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2024	2023	2024	2023
საქონლის გაყიდვა				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	14	120	37	510

(ii) ხარჯები

	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2024	2023	2024	2023
’000 ლარი				
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა				
საბოლოო მშობელი კომპანია	-	42	-	1
პირდაპირი მშობელი კომპანია	16,886	38,077	1,836	1,452
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები*	31,323	102,314	624	672

*კომპანიას საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოსთან მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიისადმი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მომსახურებას. სულ აღიარებული უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მომსახურების გაწევის ხარჯი წლის განმავლობაში შეადგენდა 342 ათას ლარს (2023: ნული). კომპანიას არ აქვს პირდაპირი შრომითი ურთიერთობა იმ ინდივიდებთან, ვინც გასწევენ ამ მომსახურებას.

(iii) სესხები

	სესხის ოდენობა 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2024	2023	2024	2023
’000 ლარი				
სასესხო მოთხოვნები				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	53,400	-	54,878	-

სასესხო მოთხოვნების პირობები მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

2024 წელს, სასესხო მოთხოვნაზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2,978 ათასი ლარი შეადგინა (2023: ნული).

18. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, 2025 წლის აპრილში, სსიპ „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ“ კომპანიის გარკვეული პროდუქციის შემოწმებისას გამოავლინა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის დარღვევა. შედეგად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კომპანიაზე გასცა აღნიშნული პროდუქციის ბაზრიდან ამოღებისა და მათი განადგურების მითითება.

ხელმძღვანელობის მიხედვით, ამ მოვლენიდან მალევე, კომპანიამ აღმოფხვრა ზემოაღნიშნული დარღვევა და მითითებების შესაბამისად შეასრულა ამოღების პროცესი.

ხელმძღვანელობამ შეაფასა მოვლენის ფინანსური გავლენა და დაასკვნა, რომ მას კომპანიის ოპერაციების შედეგებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე არ ჰქონია არსებითი უარყოფითი გავლენა.

19. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საქართველოს საგადასახადო ორგანომ ჩაატარა საგადასახადო შემოწმება 2014 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდისთვის და 2017 წლის 28 დეკემბერს გამოცემული საგადასახადო შემოწმების აქტის თანახმად, კომპანიას დაეკისრა 1.8 მილიონი ლარის ოდენობით გადასახადი (დამატებითი გადასახადი 1.2 მილიონი ლარი და ჯარიმა 0,6 მილიონი ლარი). კომპანიამ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება, რის შედეგადაც საქართველოს საგადასახადო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, საგადასახადო აუდიტის გუნდი ხელახლა შეაფასებს დამატებითი გადასახადის და ჯარიმის ოდენობებს. გადაანგარიშება არ ყოფილა დასრულებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. მესამე მხარის კომპანიის მიერ გაცემული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, რომელიც ხელმძღვანელობამ დაიქირავა საგადასახადო დავაში დასახმარებლად, ხელმძღვანელობა თვლის, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ გადაანგარიშება მნიშვნელოვან გადასახადებს გამოიწვევს. შესაბამისად, ანარიცხი არ ყოფილა აღიარებული გაურკვეველი საგადასახადო პოზიციებისთვის 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

20. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

21. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2005 წლის 1 იანვარს (ფასს აღრიცხვის სტანდარტებზე გადასვლის თარიღი) განისაზღვრა მოცემულ თარიღში მისი სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ("დასაშვები საწყისი ღირებულება").

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ იგი უზრუნველყოფს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა მინიშნება იმისა, რომ ძირითადი საშუალებები გაუფასურებულია. მსგავსი მინიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვების თვითღირებულება) და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება შემცირებულია ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში აღნიშნული წლისთვის. აქტივისთვის წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენილია, შესაბამისობის შემთხვევაში, თუ არსებობს ცვლილება აქტივის გამოყენებითი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების (გამოკლებული გაყიდვების თვითღირებულება) დადგენაში გამოყენებულ შეფასებებში.

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება მსჯელობის საგანს წარმოადგენს, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე. ხელმძღვანელობა ნარჩენ სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და სავარაუდო პერიოდის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანს კომპანიას. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (b) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საექსპლუატაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამაზე; და (c) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული დაძველება.

მიწას, დაუსრულებელ მშენებლობას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხებათ.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

• შენობა-ნაგებობები	10-40 წლამდე
• მანქანა-დანადგარები	3-20 წლამდე
• სატრანსპორტო საშუალებები	3-15 წლამდე
• საოფისე და სხვა აღჭურვილობა	3-20 წლამდე

(b) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება "ფიფო" (პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში) პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და დაუმთავრებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში.

(c) განთავსებული კაპიტალი

კომპანიის მიერ აღრიცხული განთავსებული კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის მფლობელის მიერ. ცვლილებები კომპანიის მიერ აღრიცხულ კაპიტალში ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

(d) დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს, მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში.

(e) ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

ფასდათმობა წარმოადგენს დიდ მომხმარებელზე გაცემულ ფასდაკლებას, რომელიც ჩვეულებრივ ხდება ან გასაყიდი ფასის პირდაპირი შემცირებით, ან უკვე გადახდილი თანხების ანაზღაურებით.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით		შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მიხედვით
საქონლის სახეობა		
i. თვითწარმოებული პროდუქტები; და	i. მზა წარმოების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი არის თვითწარმოებული პროდუქტების, ძირითადად რძის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.	შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კონტროლი საქონელზე გადაცემულია, ანუ დროის ის მომენტი, როდესაც საქონლის კლიენტისთვის მიწოდება მოხდა. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც პროდუქტი კომპანიის საწყობიდან იგზავნება, ან როდესაც კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. კომპანია შემოსავლად გარიგების ფასის ოდენობას აღიარებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება არა-საინვოისო და საინვოისო ფასდაკლებების და შეღავათების, დღგ-ს და მოსალოდნელი შემოსავლების გამოკლებით. გაყიდვები დაბრუნების უფლებით, ფასდაკლებებით და ფასდათმობებით განიხილება როგორც ცვლადი ანაზღაურება და ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე.
ii. იმპორტირებული პროდუქტები.	ii. შემოსავალი გადასაყიდად ფლობილი პროდუქტების გაყიდვიდან მიიღება პეპსიკო ჯგუფიდან იმპორტირებული პროდუქციის გადაყიდვიდან. იმპორტირებული პროდუქტები ძირითადად მოიცავს წვენებს, წასახმსებლებს, სასმელებს და რძის პროდუქტებს. კომპანია იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვის ოპერაციებში პრინციპალის (და არა აგენტის) სახით მოქმედებს, რადგან კონტროლი იმპორტირებულ საქონელზე მოპოვებულია იმპორტირებული პროდუქციის მაღაზიებისთვის გადაცემამდე. ინვოისები, როგორც წესი გადასახდელია 30-60 დღის განმავლობაში.	

კომპანიის ხელშეკრულებები მოიცავს ერთჯერად შესასრულებელ ვალდებულებებს, რაც წარმოადგენს კონკრეტული საქონლის გადაცემას და აღირიცხება განცალკევებით. ანაზღაურება მიღებულია კლიენტისთვის საქონელზე კონტროლის გადაცემის მომენტში ან უფრო დიდ იურიდიულ პირებზე გაყიდვების შემთხვევაში, გადავადებული გადახდის პირობები შეიძლება იქნას შეთანხმებული, თუმცა, გადავადება არ აჭარბებს 12 თვეს. შესაბამისად, გარიგების ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გავლენაზე.

(f) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(g) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(h) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც საპროცენტო ხარჯი მიჩნეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯად, რომელიც კვალიფიციურ აქტივზე უნდა იქნეს კაპიტალიზირებული.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღების შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(j) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. 2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო დაწესებულებებისთვის მოქმედი მოგების გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ გადასახადთან მიმართებით, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით იბეგრება ასევე ზოგიერთი ოპერაცია, როგორიცაა ხარჯის გაწევა, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდება და ზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბებით წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია იყენებს ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებს, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასებისათვის.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) საწყის ეტაპზე აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამოებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სასესხო მოთხოვნებს (შენიშვნა 6), სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს (შენიშვნა 8) და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 9) და კლასიფიცირებულია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ ფლობილი ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების იმ ნაწილისა, რომელიც გამოწვეულია კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომელიც მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, წარმოდგენილი შენიშვნაში 10, შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია მის ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით აფასებს.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან (მაგ. კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (ან გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ განხორციელებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი მისი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად აქვს ურთიერთგაქვითვის იურიდიული აღსრულების უფლება რომელიც არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადია როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ასევე კომპანიის და მისი ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯების გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(I) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი").

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს გაუფასურდა თუ არა საკრედიტო რისკით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისაგან იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვეთება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოძინებებს და გამოყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(iii) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

კომპანია ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ კომპანიის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და MPM მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(b) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის კორექტირებები).

მმართველობითი ანგარიშგება
შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“

2024 წელი

შინაარსი

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	3
კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები	4
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	5
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	5
კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	5
ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	6
კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის	6
დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	8

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვიმ-ბილ-დან საქართველო“ (შემდგომში – კომპანია) შექმნილია და წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია დაფუძნებულია 2008 წლის 17 იანვარს და საქმიანობას ეწევა კვების პროდუქტების წარმოების და დისტრიბუციის დარგში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: თბილისი, სოფელი ფონიჭალა 0165, ხოლო სათავო ოფისი მდებარეობს მისამართზე, თბილისი აფაქიძის 11.

კომპანიის დამფუძნებელია ღია სააქციო საზოგადოება „ვიმ-ბილ-დან“ 100%.

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“ და მისი დამფუძნებელი სს „ვიმ-ბილ-დან“-ი 2011 წლიდან არის საერთაშორისო კორპორაცია „პეპსიკო“-ს შვილობილი კომპანიები.

კომპანიის წესდებით განსაზღვრული საქმიანობის საგანს წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობა, საზოგადოების მონაწილეთა ინტელექტუალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გაერთიანების საშუალებით სახალხო მოხმარების და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლით (უპირველეს ყოვლისა საკვები პროდუქტებით, წვენებითა და სასმელებით) საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მონაწილეთა ინტერესებში მოგების მიღების, დადებითი სოციალური ეფექტის მიღწევისა და საზოგადოების მუშაკთა სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

დასახული მიზნების მისაღწევად კომპანია ახორციელებს საქმიანობის შემდეგ სახეებს:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება (რძის გადამამუშავება, რძემწკავა პროდუქტების წარმოება),
- სავაჭრო და სავაჭრო-შესყიდვითი საქმიანობა,
- საკვები პროდუქტებისა და წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის იმპორტი,
- იმპორტირებული და საკუთარი წარმოებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტი.
- წვენების წარმოება მესამე მხარის პარტნიორული თანამშრომლობით (3PL) და დისტრიბუცია

შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“-ს მმართველობის ორგანოს წარმოადგენს (საზოგადოების მონაწილეთა/პარტნიორთა) საერთო კრება, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს საერთო კრების მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი - ნუნუ ფორჩხიძე.

საქმიანობის დაწყების დღიდან, კომპანიის გაფართოების კვალდაკვალ იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც. 2024 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 395 ადამიანი (2023: 416).

მიმდინარედ კომპანია მყარადაა წარმოდგენილი, როგორც ერთერთი ლიდერი მწარმოებელი რძემწკავა პროდუქტებისა, იგი ბაზარზე ცნობილია ბრენდით „სოფლის ნობათი“, „დომიკ ვ დერევენ“, „ჩუდო“, „მარგო“, „ფრუგურტი“ და „აგუშა“.

ასევე იგი გახლავთ უმსხვილესი იმპორტიორი წვენების ისეთი ბრენდებისა როგორებიცაა, „ფრუქტოვიი სად“, „ლუბიმი“ და „ლიპტონის“ ცივი ჩაი. სწელების კატეგორიაში, კარტოფილის ჩიფსებისა და პურის ორცხოვნილების ისეთი ბრენდების, როგორიცაა „ლეისი“, „დორიტოსი“, „ხრუსტიმი“. აღსანიშნავია რომ კომპანია აღარ ეწევა „სანდორას“ ბრენდის იმპორტის, ვინაიდან მესამე მხარესთან პარტნიორობით ახდენს მის ლოკალურ წარმოებასა და დისტრიბუციას.

რაც შეეხება საქართველოში წარმოებული პროდუქციის ჩამონათვალს, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

- რძე სოფლის ნობათი
- მაწონი სოფლის ნობათი
- მაწონი სოფლის ნობათი პრემიუმი
- მაწონი საბავშვო სოფლის ნობათი
- არაჟანი სოფლის ნობათი
- არაჟანი სოფლის ნობათი პრემიუმი
- ხაჭოს კვერი სხვადასხვა არომატით
- კვერი სოფლის ნობათი
- ხაჭო სოფლის ნობათი
- რძის შემცველი პროდუქტი მე მარგო
- ჩუდოს დასაღები იოგურტები სხვადასხვა არომატით.
- დასაღები იოგურტი სოფლის ნობათი საბავშვო
- დასაღები იოგურტი სოფლის ნობათი პრემიუმი

აღსანიშნავია რომ 2023 წლიდან კომპანია აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანულ კომპანია „Milla Dairy“-სთან, რომელიც კომპანიის დაკვეთით ამზადებს „სოფლის ნობათი რჩეული“ ულტრაპასტერიზირებულ რძეს. 2025 წელს, ერთ-ერთი იმპორტირებული პარტიის შემოწმებისას, სურსათის სააგენტომ პროდუქციაში აღმოაჩინა აფლატოქსინის ანტიბიოტიკის რეგულაციით დაშვებულზე მაღალი მაჩვენებელი. აღსანიშნავია რომ ეს მაჩვენებელი ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის, გარკვეულ ბაზრებზე რეგულაციით უფრო მაღალი მაჩვენებელია განსაზღვრული. კომპანიამ სრულად გამოითხოვა აღნიშნული პროდუქცია და მოახდინა მისი უტილიზაცია სურსათის სააგენტოსთან შეთანხმებით. აღნიშნულ მომწოდებელთან გადაიხდა სახელშეკრულებო პირობები, სადაც გათვალისწინებულია აღნიშნულით მიღებული ფინანსური ზარალი და განაახლა იმპორტის ოპერაციები. სამომავლო პერსპექტივაში, კომპანია აქტიურად განიხილავს რძის შესყიდვის ახალ ბაზრებსა და შესაძლებლობებს.

კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები

კომპანია მიზნად ისახავს, კიდევ უფრო გააფართოოს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც იქნება სწორედ ადგილობრივ ნედლეულზე დამზადებული პროდუქცია.

იმპორტის მხრივ, კომპანია მუდმივად განიხილავს ახალ ბაზრებსა და მომწოდებლებს, რისკების შესამცირებლად და პროდუქციის გაუმჯობესებული პირობებით იმპორტისათვის.

კომპანია მზადაა ადაპტაცია მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე და მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებსა და რეგულაციებთან. ასოციაციის „საქ. რძე“-ს ფარგლებში გააგრძელოს მუშაობა და მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებთან.

კომპანიას დაგეგმილი აქვს ქარხნის ტერიტორიაზე < 1500 კვ.მ საერთაშორისო სტანდარტების მქონე სასაწყობო მეურნეობის მშენებლობა, რომელზეც დასრულებულია არქიტექტურული საკონსულტაციო სამუშაოები, შერჩეული კონტრაქტორი კომპანია და დაწყებულია პირველადი სამუშაოები.

ასევე, დამატებითი ინვესტიციის სახით, კომპანიამ 2024 წელს გასცა 53.4 მლნ ლარის მოცულობის სესხი “Pepsico Global Holding Limited”-ზე, საიდანაც კვარტალურად იღებს საპროცენტო შემოსავალს.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად კომპანიას შეუძლია შექმნას ფილიალები და გახსნას წარმომადგენლობები, იმ პირობით რომ ისინი არ იქნებიან დამოუკიდებელი იურიდიული პირები. დაფუძნების დღიდან დღემდე, ასეთი სახის ფილიალი ან წარმომადგენლობა კომპანიას არ გააჩნია.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2020 წელს საფუძველი ჩაეყარა უმნიშვნელოვანეს მრავალწლიან პროექტს წარმოების კომპეტენციების განვითარებისა და მართვის კუთხით (DCMS-Dairy Competency Management System), რომელიც დღემდე წარმატებით გრძელდება. მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა პროექტის დაგეგმილი ეტაპებიდან უკვე მოხდა რამდენიმე პროცესის ჩაშვება: მიკრობიოლოგიის სკოლა, ცვლის უფროსების სკოლა, სერვის ინჟინრების უმაღლესი სკოლა. ამ სკოლების ფარგლებში მიმდინარეობს ექსპერტების მომზადება და სასწავლო მასალების შედგენა-ადაპტაცია. სამუშაო ჯგუფებში ხდება სამუშაო პოზიციებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეფასება/სტანდარტიზაცია. ასევე დაიწყო სტანდარტული

საოპერაციო პროცედურების (SOP) შედგენის პროცესი. ამ პროექტის მიზანია, განვითარებული კომპეტენციებით, ახალი ცოდნითა და უნარებით კომპანიამ შექმნას კონკურენტული სამუშაო ძალა ქართულ შრომის ბაზარზე, რაც მისცემს შესაძლებლობას სწრაფად მოხდეს ადაპტაცია ცვლილებებთან.

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი	241 183	213 542
საერთო მოგება (Gross profit)	84 950	73 137
საოპერაციო მოგება	49 737	23 585
მთლიანი მოგება (%) (Gross profit margin)	35.22%	34.24%

წმინდა მოგების ზრდა წინა წელთან მიმართებაში უმეტესწილად გამოწვეულია წმინდა გაყიდვების ზრდით, რეგიონში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოში მოხდა ახალი მომხმარებლების შემოძინება, რომელთათვისაც პრემიუმ კატეგორიის რძის პროდუქცია მეტად ხელმისაწვდომია. ასევე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლამ, განაპირობა ქვეყანაში სწრაფი კატეგორიაზე მოთხოვნის რეკორდული ზრდა.

	სულ სახელფასო ფონდი	საშუალო დასაქმებული
იანვარი	1,343	380
თებერვალი	3,093	374
მარტი	1,516	379
აპრილი	1,538	398
მაისი	1,542	399
ივნისი	1,473	394
ივლისი	1,495	397
აგვისტო	1,554	400
სექტემბერი	1,567	401
ოქტომბერი	1,575	408
ნოემბერი	1,555	405
დეკემბერი	1,730	407

რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს, დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხებს,

კომპანია ჩაბმულია ეკოლოგიურ პლანეტის გამოწვევებში. PepsiCo BCCA-ს GOGREEN-ის გუნდმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოფისების „გამწვანებაში“, ნარჩენების შემცირებისა და უტილიზაციის თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ეკოლოგიური კამპანია შედგა: ეკოლოგიური ღონისძიება, მსოფლიო დასუფთავების დღე, გამოწვევა „უთხარი არა პლასტმასას“, გადამამუშავებელი ქარხნის ტური.

GoGreen-ის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ინოვაციური აქტივობა: ქარხანაში დამონტაჟდა ხელის საშრობი და მოეწყო სმარტ ნიჟარა მოხმარებული წყლის ეფექტურად გამოყენებისთვის და ა.შ. კომპანია აღარ იძენს ოფისისთვის ერთჯერადი მოხმარების პლასტმასის ჭურჭელს, თითქმის აღარ არსებობს პირადი მოხმარების ურნები, ასევე ხარისხდება ნარჩენები და ა.შ. ასევე კომპანიის ტერიტორიაზე დამონტაჟდა მზის ენერგიის პანელები, რამაც ელექტრონერგიის მოწოდებაზე გაწეული დანახარჯები შეამცირა 20%-ით. 2022 წლის განმავლობაში ასევე მნიშვნელოვანი დანახარჯები იქნა გაწეული ხანძარ საწინააღმდეგო სისტემებისა და დენის გენერატორების მოდერნიზაციაზე, რაც კომპანიას აძლევს საშუალებას გახდეს მეტად ენერგო ეფექტური

კომპანია მსგავსად წინა წლებისა ინარჩუნებს მაღალ შედეგებს ხარისხის DNV აუდიტში.

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შესაბამისად ადგილი არ ჰქონია აქციების შესყიდვას. ასევე აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში და დღემდე არ მომხდარა კომპანიის მფლობელობაში რაიმე ცვლილება.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **საკრედიტო რისკი**, რაც რისკია იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს

ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკის მთავარ გამომწვევ ფაქტორებს წარმოადგენენ ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. კომპანიას შემუშავებული აქვს პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ დადებითი საკრედიტო ისტორიის მქონე კონტრაგენტებს მიეწოდოს საქონელი. დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების მიღებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფისთვის ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, რადგან ყოველთვიურად ხდება გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის და ვადაგადაცილებული ბალანსების ანალიზი, რის შესაბამისადაც აღრიცხულია ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული რისკებიც. საბაზრო რისკი წარმოიშობა ღია პოზიციებიდან უცხოურ ვალუტაში.

საბაზრო რისკები უმეტესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე რითიც კომპანია ქმნის ლიმიტებს ფასზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს გავლენა ამ ფასებზე, საბოლოო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“

გარდა ამისა, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც მერყეობს ზოგადი და კონკრეტული ბაზრის მოძრაობების შესაბამისად. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება, რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები.

ჯგუფი ასევე, ნაწილობრივ დამოკიდებულია საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების ურთიერთობების განვითარებაზე. ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც გავლენას მოახდენს შესასყიდი მარაგების ფასზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიას, განაგრძოს ბიზნესი ჩვეულებისამებრ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტასთან დაკავშირებით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ლიკვიდობის რისკი. გონივრული ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით.

კომპანია ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის და სესხებზე წვდომის შენარჩუნების გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება კომპანიის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ კომპანიის რეფინანსირების გეგმებს. კომპანიის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ლიკვიდობის მოთხოვნებს, რომ უზრუნველყოს საკმარისი სახსრების ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანია ასევე ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც უპირატესად სესხებისგან შედგება. კომპანია საჭიროების შემთხვევაში დახმარებას იღებს მშობელი კომპანიისგან ფულადი რესურსის სახით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და არ არის მიბმული LIBOR-ზე.

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის ფორმალური სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რამდენადაც მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის ბიზნესისთვის. ეს ასევე დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ კომპანიას სესხების მიღება შეუძლია ჯგუფის წევრი სხვა კომპანიებისაგან.

სხვა რისკები - რუსეთ უკრაინის ომი

2022 წლის 24 თებერვალს რეგიონში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის დაიწყო საომარი მოქმედებები, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არა მარტო „ვიმ-ბილ-დან საქართველო“-ზე, არამედ BUCCA ჯგუფის წევრ კომპანიებზე. საქართველოსათვის უკრაინის რეგიონი წარმოადგენდა უმსხვილეს მომწოდებელს სტერილური რძისა და წველების კატეგორიაში, საომარმა მოქმედებებმა პროდუქციაზე ხელმისაწვდომობა შუქლებელი გახადა და კომპანიას მოუწია ახალი მოწოდების არხების ძიება. ნედლი რძის იმპორტი დაიწყო აზერბაიჯანიდან, რამაც შეამცირა სატრანსპორტო ხარჯები, 2022 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევიდა ახალი საწარმოო ხაზი და ადგილობრივად ხდება „ჩუდო“-ს ბრენდის იოგურტების წარმოება, ასევე 2023 წელს მოხდა „სანდორა“-ს ბრენდის წველების ლოკალიზება, რითაც კიდევ უფრო შემცირდა რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება. კომპანიამ შეძლო წარმატებით აეთვისებინა ახალი მოწოდების არხები და მოეხდინა ფინანსური დანაკარგების მინიმალიზირება.

ხელმძღვანელობის მიმდინარე შეფასება არის, რომ კომპანიის მენეჯმენტს შესწევს უნარი მოახდინოს ოპერატიული რეაგირება რეგიონში არსებული ვითარებიდან წარმოშობილ რისკებზე და შეუფერხებლად გააგრძელოს საოპერაციო საქმიანობა, გააჩნია რესურსი წარმოების გასაფართოებლად და დასახული მიზნების მისაღწევად.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

კომპანიამ დაფუძნების დღიდან მიზნად დაისახა, რომ მომხმარებელს შესთავაზოს მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია, ამ მიზნით ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნედლეულის მოძიება და შეძენა, რაც განაპირობებს კიდევ ჩვენი პროდუქციის მაღალ ხარისხს და შესაბამისად მომხმარებელთა კმაყოფილებასა და გაზრდილ მოთხოვნას.

კომპანია 2010 და 2011 წლებში დაჯილდოებულია „ოქროს ბრენდის“ ჯილდოთი.

ნუნუ ფორჩიძე

დირექტორი

11 ნოემბერი 2025

